ხელშეკრულება N59–2022

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.თბილისი **18.07.2022წ**

ერთის მხრივ, **სსიპ ,,სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო“** შემდგომში „შემსყიდველი“ წარმოდგენილი - სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი **ზაზა ლომიძის** სახით და მეორეს მხრივ **სს “ელიტელექტრონიქსი”** შემდგომში „მიმწოდებელი“ წარმოდგენილი - **ლადო ჯობავას** სახით, მოქმედნი საქართველოს კანონმდებლობისა და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის, პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში ცხრილში მოცემული საქონლის შეძენა • CPV-42512200 კედლის კონდიციონერები;
• CPV-45331230 გამაგრილებელი მოწყობილობების მონტაჟი.
კერძოდ :

N	დასახელება	CPV კოდი	ზომის ერთეუ	რ–ბა	ერთეული ს ფასი, ლარი	საერთო ღირებულე
1	კონდიციონერი MAYER-ESAF-12MNI (H)	42512200	ცალი	2	899.99	1,799.98
2	სერვისი-SERVICE-Instal 09TB,RUS,BAT	45331230	2 ცალი კონდიც. მონტაჟი	2	170.00	340.00
					ჯამი:	**2,139.98**

2.შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება

2.1 მისაწოდებელი საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **2,139.98 (ორი ათას ასოცდაცხრამეტი და 98) ლარს** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი გადასახადების გათვალისწინებით.

3.საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

3.1 საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორება მოხდება წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისი ,,მიღება ჩაბარების“ აქტის და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 (ათი) დღის ვადაში.

4.2 ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი

4.3 ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო.

4.4 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1 ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ბრალეული მხარე დაზარალებულ მხარეს აუნაზღაურებს დოკუმენტალურად დადასტურებულ მიყენებულ ზიანს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5.2 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ საქონელი იქნება ხარისხიანი და არ გამოავლენს ხარვეზებს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს აღმოჩენილი ნაკლის გამოსწორება. საგარანტიო პერიოდის განმავლობაში მიმწოდებლის მიერ საგარანტიო მომსახურება ხორციელდება ნივთზე თანდართული საგარანტიო ტალონის პირობების შესაბამისად.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობანი

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია მოახდინოს ხელშეკრულების საგნით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარულ დღეში.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის გაფორმებიდან 10 საბანკო დღეში აუნაზღაუროს მას შესყიდული საქონლის ღირებულება

6.3 შემსყიდველი არ აგებს პასუხს მიმწოდებლის მიერ მესამე პირებისათვის მიყენებულ ვალდებულებებზე ან ზარალზე.

6.4 მიმწოდებელს არ აქვს უფლება, შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე, მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

7.2 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება, უნდა გაფორმდეს წერილობით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, შესაბამისმა მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

9. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

9.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის შესახებ წერილობითი შეტყობინების შემდეგ, იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი მომსახურება ან მისი ნაწილი;
9.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
9.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო თავად იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9. ფორს-მაჟორი

10.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.
10.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით. მხარეები უფლებამოსილნი არიან შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 28 აგვისტოს ჩათვლით.

12.2 ხელშეკრულება შედგენილია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი შემსყიდველს.

მხარეთა რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“
სსიპ "სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტო".
საიდენტიფიკაციო კოდი:204429494
მისამართი: 380038, საქართველო, ქ. თბილისი 9 აპრილის ქ. 2 სახელმწიფო ხაზინა
სსიპ „სახელისუფლებო სპეციალური კავშირგაბმულობის სააგენტოსთვის“ – 4003
ხაზინის ერთიანი ანგარიში GE24NB0330100200165022
ბანკის კოდი – TRESGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი – 7 0771 7121

„მიმწოდებელი“
სს"ელიტელექტრონიქსი"
ს/კ 202268928
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, პ. ქავთარაძის N3
ფაქტიური მისამართი: თბილისი, კახ.გზატ თვალჭრელიძე
ტელ; 995 32 48 48 48
ბანკი:სს „თი-ბი-სი ბანკი“
ბანკის კოდი:TBCBGE22
ა/ა GE69TB0600000120467205

სააგენტოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

ზ.ლომიძე

Zaza Lomidze 01002011188
Digitally signed by Zaza Lomidze
Date: 2022.07.18 17:06:22

ლ. ჯობავა

JSC Elit Electronics
Digitally signed by JSC Elit Electronics
Date: 2022.07.18 18:41:11 +04'00'